განმარტება

კორექტირებით ხდება 12-17 და ლ-ე მონაკვეთების კვეთაზე -3.30 და +0.00 ნიშნულების დაკავშირება და ორსართულიან ერთ კომერციულ ერთეულად წარმოქმნა.
წესების 309.1 ქვეთავის მიხედვით სვ დაკავებულობა მიენიჭება ერთეულს სადაც იყიდება საქონელი, ასევე ამგვარი საქონლის მარაგია განთავსებული. აქედან გამომდინარე -3.30 ნიშნული გათვალისწინებულია კომერციული ერთეულის მარაგის განსათავსებლად, ხოლო +0.00 ნიშნული სავაჭროდ.
დაკავებულობის დატვირთვის (დ.დ.) გამოსათვლელად გამოყენებულია წესების 1004.1.2 ცხრილი. ამ ცხრილში კომერციული ერთეულისთვის ჩაშლილია მის შემადგენლობაში შემავალი საჭირო შიდაქვეფუნქციური ზონები და დადგენილია მათი ფაქტორები.

სავაჭრო-კომერციული	
ფართობები სხვა სართულებზე/იატაკებზე	5,6 მთლიანი
მიწის დონის ქვედა და მიწისპირა იატაკების ფართობები	2,8 მთლიანი
სათავსი, სასაწყობო, დასატვირთი ფართობები	27,9 მთლიანი

ვინაიდან -3.30 ნიშნულზე განთავსებული ფართობი მოიაზრება კომერციულის მარაგის განსათავსებლად მას მიენიჭა სათავსის შიდაქვეფუნქცია და მისთვის ფაქტორი განისაზღვრა 27.9. მაგრამ ვინაიდან აღნიშული ცხრილის მიხედვით ასევე შესაძლებელია 2.8-ის მინიჭებაც, ვინაიდან ეს უკანასკნელი უფრო მკაცრია სვ დაკავებულობის ორივე სართულისთვის გამოყენებულია 2.8 ფაქტორი.
აღნიშნულიდან გამომდინარე დ.დ. განისაზღვრა -3.30 ნიშნულზე 39, ხოლო ±0.00 ნიშნულზე 28, ჯამში დ.დ.=67.
დაკავებულობის დატვირთვის შესაბამისად დადგენილია კომერციული ერთეულისათვის საჭირო წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა. წესების 1602.1 ცხრილის მიხედვით სვ დაკავებულობას 67 დაკავებულობის დატვირთვაზე მოეთხოვება 1 ცალი უნიტაზი; 1 ცალი ხელსაბანი; 1 ცალი წყალის დასალევი შადრევანი და 1 ცალი სამომსახურო ნიჟარა. ეს მოთხოვნა პროექტით გათვალისწინებულია. ვინაიდან -3.30 და +0.00 ნიშნულზე განთავსებული სვ დაკავებულობები ერთი ერთეულია საკმარისია 1 უკვე არსებული ტუალეტი.

No.	კლასი	დაკავებულობა	აღწერილობა	უნიტაზები		ხელსაბანები		აბაზანები/შხაპები	წყლის დასალევი შადრევნებით	სხვა
				კაცების	ქალების	კაცების	ქალების			
6	სავ აჭრო	სვ	საცალო ვაჭრობის მაღაზიები, მომსახურების სადგურები, მაღაზიები, საუქციონო დარბაზები, ბაზრები და სავაჭრო	1 ცალი 500-ზე		1 ცალი 750-ზე		—	1 ცალი 1000-ზე	1 სამომსახურო ნიჟარა

წესების 1203 ქვეთავის მიხედვით შენობებს უნდა ჰქონდეს ბუნებრივი ან მექანიკური განიავება. -3.30 ნიშნულზე შეთანხმებული და შეთანხმებული პროექტის მიხედვით ადგილზე აშენებულია დს ერთეულები, რომელთათვისაც თავიდანვე გათვალისწინებულია მექანილური განიავება და განათება, რაც ამ კორექტირებით ცვლილებას არ განიცდის. კორექტირებით ხდება აღნიშნული სართულის მხოლოდ ორი დამხმარე ოთახის მიერთება მათ ზემოთ მდებარე, ერთ შემთვევაში საცხოვრებელ და მეორე შემთხვევაში კომერციულ ერთეულთან. კორექტირებით გათვალისწინებულ მონაკვეთებში შენარჩუნებულია მექანიკური განიავება რაც უმჯობესდება სართულშუა გადახურცის ფილაში კიბის და ლიფტის ღიობების მოწყობით. აღნიშნულიდან გამომდინარე 1203 ქვეთავის პირობები იყო და რჩება დაცულად.

AR1929199MS შეტყობინებაში ამბობთ რომ ანტრესოლი ემატება და ითხოვთ 505 ქვეთავთან მისი შესაბამისობის შეფასებას. მოგახსენებთ, რომ +2.46 ნიშნულზე სართული უკვე შეთანხმებული პროექტის შესაბამისია ხოლო ამ კორექტირებით ხდება მომიჯნავე ბინების გაერთიანება და შიდაგეგმარების გადაკეთება. წესების 505 ქვეთავი ადგენს ანტრესოლების მოწყობის წესს თუმცა დასაკორექტირებელი საცხოვრებელი ერთეულისთვის +2.46 ნიშნული ჩათვლილია მეორე სართულად.